საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

ბრძანება

№ 000002569

27/11/2020

2020 წლის 19 - 20 ნოემბერს სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგად საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მქონე პირთა სიის დამტკიცების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 30 მაისის №101/37 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "კ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 12 აპრილის №71/37 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირების წესის და პირობების 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მქონე პირთა სია, დანართის შესაბამისად.
2. გამოქვეყნდეს დამტკიცებული სია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში.

გელა წიკლაური
დირექტორი